ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3289369

ნომერი: AR1494142

თარიღი : 07.04.2017

გაცემის თარიღი : 30.05.2017

გაცნობის თარიღი : 31.05.2017

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ჯავახეთის ქუჩა N24ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შორენა მურაჩაშვილი პ/ნ 01012028278
- თბილისი ვაზისუბნის IV მ/რ I კვ. კორ. 7 ბ. 23

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
"ტექნიკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილების თანახმად, წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით იცვლება არსებული სათავსის დაკავებულობა. "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის "ე" ქვეპუნქტის შესაბამისად იგი წარმოადგენს არსებული შენობის რეკონსტრუქციას. შესაბამისად, აღნიშნული სამუშაოები ვერ განიხილება I კლასის კუთხით.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა I კლასის მშენებლობის კუთხით. გაცნობებთ, რომ უახლოეს მომავალში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იგეგმება საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება. აღნიშნული ცვლილებების თაობაზე ინფორმაცია გამოქვეყნდება სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.tas.ge.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.